



საქმე №2ბ/4105-10

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
სასამართლო შეტყობინების საჯაროდ
გავრცელების შესახებ**

18 მაისი, 2011წ.

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემდეგი შემადგენლობით:
თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი (თავმჯდომარე)
მოსამართლეები:
მარა ბაქრაძე, ბესარიონ ჭაბალუა

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე.

აპელანტი – გიორგი გუგეშვილი.

მოწინააღმდეგე მხარე – დავით გუგავა.

დავის საგანი – თანხის დაკისრება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2010 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება

აალატაა გამოარავია:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2010 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დავით გუგავას სარჩელი დაკმაყოფილდა. გიორგი გუგეშვილს დავით გუგავას სასარგებლოდ დაეკისრა 30 000 აშშ დოლარის ანაზღაურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხე გიორგი გუგეშვილმა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მარტის განჩინებით გიორგი გუგეშვილის სააპელაციო საჩივარი თბილისის

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე, დატოვებული იქნა განუხილველად.

დადგენილია, რომ აღნიშნული განჩინების აპელანტ გიორგი გუგეშაშვილზე ჩაბარება მის მიერ მითითებულ მისამართზე, ვერ ხერხდება.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მართლმსაჯულების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით და სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებში, სასამართლო განჩინების აპელანტზე ჩაბარება მოცემულ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს საჯარო შეტყობინების მეშვეობით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის, თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის. ამავე კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის), აღტერნატიული მისამართის სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას უწყება ვერ ჩაბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 1¹ ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 78-ე მუხლის დებულებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა თვლის, რომ ვინაიდან აპელანტისათვის სააპელაციო საჩივრის განუხილველდ დატოვების შესახებ განჩინების ჩაბარება ვერ მოხერხდა არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, მას 2011 წლის 31 მარტის განჩინების შესახებ უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინების გზით, თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 78-ე მუხლებისა.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 78-ე, 284-ე, 390-ე და 414-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. გიორგი გუგეშვილს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მარტის განჩინების თაობაზე, ეცნობოს საჯარო შეტყობინების საშუალებით.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მარტის განჩინების გამოქვეყნება განხორციელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ გვერდის მეშვეობით.
3. განჩინება არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე:

თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი

მოსამართლეები:

მაია ბაქრაძე

ბესარიონ ჭაბალუა



თბილისის სააკმლაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
სააკმლაციო საჩივრის განუხილველად დაფოვების შესახებ

საქმე №2გ/4105-10

31 მარტი, 2011 წელი

ქ. თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა
მოსამართლე თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე.

აპელანტი – გიორგი გუგეშვილი

მოწინააღმდეგე მხარე – დავით გუგავა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დავით გუგავას სარჩელი დაკმაყოფილდა. გიორგი გუგეშვილს დავით გუგავას სასარგებლოდ დაეკისრა 30 000 აშშ დოლარის ანაზღაურება.

დავის საგანი – თანხის დაკისრება

პალატაშ გამოარკვია:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დავით გუგავას სარჩელი დაკმაყოფილდა. გიორგი გუგეშვილს დავით გუგავას სასარგებლოდ დაეკისრა 30 000 აშშ დოლარის ანაზღაურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხე გიორგი გუგეშვილმა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქმე სააპელაციო საჩივართან ერთად განსახილველად გადმოეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ განიხილა რა წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი, მიაჩნია, რომ იგი დატოვებული უნდა იქნას განუხილველად, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარზე დადგენილი იქნა ხარვეზი და აპელანტს, ხარვეზის შევსების მიზნით დაევალა, სახელმწიფო ბაჟის – 1200 აშშ დოლარის შესაბამისი კურსით ლარში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

აღნიშნული განჩინება აპელანტს ჩაბარდა 2010 წლის 10 დეკემბერს.

2010 წლის 20 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა გიორგი გუგეშაშვილის წარმომადგენელმა ვლადიმერ სალაძემ, წარმოადგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი 150 ლარის ოდენობით და აპელანტის ფინანსური პრობლემებიდან გამომდინარე მოითხოვა დარჩენილი სახელმწიფო ბაჟის განაწილვადება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 დეკემბრის განჩინებით აპელანტ გიორგი გუგეშაშვილის წარმომადგენლის ვლადიმერ სალაძის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილა. აპელანტს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული ვადა 05 დღით და დაევალა სახელმწიფო ბაჟის – 1200 აშშ დოლარის შესაბამისი კურსით ლარში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, უკვე გადახდილი 150 ლარის გამოკლებით.

აღნიშნული განჩინება გიორგი გუგეშაშვილის წარმომადგენელს ვლადიმერ სალაძეს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ჩაბარდა სატელეფონო შეტყობინებით 2011 წლის 8 თებერვალს.

2011 წლის 14 თებერვალს აპელანტის წარმომადგენელმა განცხადებით მომართა სასამართლოს და მოითხოვა განმარტება, თუ რომელ ანგარიშზე უნდა შეეტანა სახელმწიფო ბაჟი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 თებერვლის განჩინებით აპელანტს კვლავ გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა 5 დღით.

სასამართლოს მიერ არაერთხელ გაგზავნის მიუხედავად, აპელანტზე ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ 2011 წლის 24 თებერვლის განჩინების ჩაბარება ვერ მოხერხდა.

ფოსტის თანამშრომლის თ. გაფრინდაშვილის მიერ 2011 წლის 18 მარტს შედგენილი აქტის შინაარსიდან ირკვევა, რომ თ. გაფრინდაშვილი პირადად ესაუბრა ტელეფონით აპელანტ გიორგი გუგეშაშვილს ნომერზე 899374477 და სთხოვა გზავნილის ჩაბარების მიზნით, დაეზუსტებინა მისი მისამართი, რაზედაც უარი მიიღო. გიორგი გუგეშაშვილმა, ასევე უარი განაცხადა გზავნილის მისაღებად საფოსტო განყოფილებაში გამოცხადებაზე (ს.ფ.31).

2011 წლის 21 მარტის, სატელეფონო შეტყობინების საშუალებით განჩინების ჩაბარების შესახებ აქტის საფუძველზე (ს.ფ.32), სააპელაციო პალატას, დადგენილად მიაჩნია, რომ გიორგი გუგეშაშვილის წარმომადგენელმა ვლადიმერ სალაძემ უარი განაცხადა განჩინების (ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ) ჩაბარებაზე და მოითხოვა, რომ იგი ჩაბარებოდა უშუალოდ მის მარწმუნებელს. დადგენილია, რომ აპელანტს ან/და მის წარმომადგენელს სააპელაციო სასამართლოსათვის წარმომადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ განცხადებით არ მოუმართავთ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების (გზავნილის) მიღებაზე, ასეთ შემთხვევაში უწყება (გზავნილი) ჩაბარებულად ითვლება და სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე. აღნიშნული ნორმის მოთხოვნებიდან გამომდინარე, პალატა დადგენილად თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 თებერვლის განჩინება ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ, აპელანტის წარმომადგენელს ვლადიმერ სალაძეს ჩაბარდა 2011 წლის 21 მარტს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

განსახილველ შემთხვევაში, აპელანტისათვის ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დანიშნული ხუთდღიანი ვადის დენა დაიწყო 2011 წლის 22 მარტიდან და ამოიწურა 2011 წლის 27 მარტს.

დადგენილია, რომ აპელანტს სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით სასამართლოსათვის არ მოუმართავს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, პირს მთლიანად დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, თუ სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული.

ამდენად, გიორგი გუგეშაშვილს უკან უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში 2010 წლის 20 დეკემბერს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 150 ლარის ოდენობით.

პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე, 369-ე, 390-ე, 414-ე, 415-ე და 416-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გიორგი გუგეშაშვილის სააპელაციო საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალქო საქმეთა კოლეგის 2010 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე, დატოვებული იქნას განუხილველად.
2. გიორგი გუგეშაშვილს უკან დაუბრუნდეს, მოცემულ საქმეზე 2010 წლის 20 დეკემბერს თემურ შონიას მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 150 ლარის ოდენობით.
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში, მდებარე, ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით (ქ. თბილისი გრ. რობაქიძის გამზ. №7^o), მხარეთათვის განჩინების ასლის ჩაბარებიდან 12 დღის ვადაში.

მოსამართლე:

თ. სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი